ხელშეკრულება № 4
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. გორი **4 თებერვალი 2019 წელი**

ერთის მხრივს სიპ ქალაქ გორის N4 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი''), მისი დირექტორის მარინა აბუაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. თამარ კახურაშვილის (შემდგომში „მიმწოდებელი'') სახით ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ა)-პუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს[1])-ქვეპუნქტი.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: **ჰიგიენური ნივთების** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია:

N	CPV კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ ენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	2	3	4	5	6	7
1	33761000	ტუალეტის ქაღალდი" უკრაინა".1*48	ცალი	96	0.5	48
2	39821000	ტექსი მარილმჟავა 550გრ	ცალი	15	2	30
3	39821000	"ბელიზნა" 1000მლ.	ცალი	15	1.5	22.5
4	39821000	DOMESTOS 810მლ 1*20	ცალი	6	3.5	21
5	33711430	Z ქაღალდი 1*12	ცალი	12	2.5	30
6	39224330	შვაბრის ვედრო კოპლექტში	ცალი	2	18	36
7	39224300	შუშის საწმენდი რეზინითა და გუპკით	ცალი	1	14	14
8	39224200	უნიტაზის ჯაგრისი	ცალი	1	5	5
9	39832000	ფეირი ფორთოხალი 21x450მლ	ცალი	2	2.8	5.6
10	44831100	იატაკის საცხი (მასტიკა) თეთრი	ცალი	3	4.5	13.5
11	33711430	ხელსახოცი"კალა30-30"1*24	ცალი	3	1	3
12	39821000	Yuppy მინის საწმენდი 500*12	ცალი	6	1.5	9
13	39821000	ბ.სახეხი ფხვ.500გრX10 ქლორი	ცალი	2	2	4
14	18141000	სამუშაო ხელთათმანი	ცალი	15	1	15
15	14522300	კრუშკა	ცალი	2	2	4
16	39224300	აბლაბუდის საწმენდი	ცალი	1	8	8
17	39224320	ჭურჭლის ღრუბელი 24 ც	ცალი	6	0.5	3
18	39525100	CC-306 უნივერსალური ტილო 38*38	ცალი	3	1.5	4.5
19	31420000	ელემენტი პატარა	ცალი	4	0.5	2
20	39525100	უნივერსალური ტილო 35X40	ცალი	5	1.5	7.5
21	39525100	მიკროფიბრი საწმენდი ტილო 60 x 80 /1367/	ცალი	4	4	16
22	39831200	სარეცხი ფხვნილი "PAREX" - 450 გრ. პაკეტი	ცალი	6	1.5	9
23	24959100	„სიმფონია'' ჰაერის გამწ. ზღვის ქაფი 300სმ³	ცალი	2	2.5	5
24	39812000	პრონტო ხის და ლამინ.იატ.მოს.სით.750მლ.6ც.;1ც.(7ც)	ცალი	2	3.5	7
25	39533000	ნოხი	ცალი	1	35	35
26	39533000	სახეხი ნეჭა	ცალი	2	1.2	2.4
		ჯამი				**360**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარი).

3.2 შესყიდვის ობიექტისსაერთო ღირებულება შეადგენს 360 ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. *შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები*

5.1. შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისთვის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს **2019 წლის 5 თებერვლისა.**

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან/და შესაბამისი დოკუმენტი).

6. ანგარიშსწორების ფორმადა გრაფიკი (ვადები)

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარი).

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 30 **(ოცდაათი)** საბანკო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე **შეუსრულებელი ვალდებულების** ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2019 წლის 30 მარტამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **სკოლის დირექტორი – მარინა აბუაშვილი.**

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი”:

სსიპ ქალაქ გორის N4 საჯარო სკოლა

მის:ქ,გორი, ჭანტურიას N5

ს/კ:217889275

ბანკი:სს ". LBRTGE22

ა/ა:GE38LB0121153801221001

შემსყიდველი:მარინე აბუაშვილი

„მიმწოდებელი”:

ი/მ თამარ კახურაშვილი
ს/კ 57001000634
მის: ქ.გორი ჭავჭავაძის №51
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს “თიბისი ბანკი"
ა/ა **GE23TB 7597 7360 1010 0009**

ხელმძღვანელი: თამარ კახურაშვილი

მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

ქ. გორი 4 თებერვალი 2019 წელი

ერთის მხრივს სიპ ქალაქ გორის 4 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი”), მისი დირექტორის მარინა აბუაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. თამარ კახურაშვილის „მიმწოდებლად“ წოდებული ვადასტურებთ, რომ 2019 წლის 4 თებერვალს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები „მიმწოდებელმა“ შეასრულა, ხოლო „შემსყიდველმა„ მიიღო და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ. ღირებულებამ შეადგინა – 360 ***ლარი.***

„მიმწოდებელი“ „შემსყიდველი“

ი/მ თამარ კახურაშვილი სსიპ ქ.გორის N4 საჯარო სკოლა

/თამარ კახურაშვილი/ /მარინა აბუაშვილი/

Tamar Kakhurashvili

Digitally signed by Tamar Kakhurashvili
Date: 2019.02.04 15:33:16 +04'00'